სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსისათვის

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის სხდომის შემაჯამებელი ოქმი №1

(2023 წლის 20 ოქტომბერი, 12 საათი)

დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოვიდა მთავარი მეცნიერ თანამშრომლის **გელა გელაშვილის** განცხადება, რომელიც თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად განხილულ და რეგისტრირებულ იქნა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე. ამავე სხდომაზე ჩატარდა დირექტორის კანდიდატის შესარჩევი კენჭისყრა (20 ოქტომბერი 13 საათი).

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **სამეცნიერო საბჭოს წევრები:** **გ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე) ვ. კვაჭაძე**, ა. ნერსესიანი, ა. ღონღაძე, გ. მამნიაშვილი, ვ.ბრეგვაძე, ს. ნანობაშვილი, ჯ.მონასელიძე, ვ. ბერეჟიანი, ნ შათაშვილი, ა. შენგელაია, ჯ. ჩქარეული.
2. **ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატი:** გელა გელაშვილი

სხდომის წამყვანი: გ. ჯაფარიძე
სხდომის მდივანი: მ. ჯანჯალია

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის არჩევნები.**

2. **მოისმინეს:** სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯაფარიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია ერთი კანდიდატი: **მთავარი მეცნიერ თანამშრომელი გელა გელაშვილი.** გ. გელაშვილი აკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის #63/2017 ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთულის ელეფთერ ანდრონიკაშილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს . აგრეთვე გათვალისწინებულია 2023 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც ასაკობრივი ზღვარი დირექტორის თანამდებობაზე მოხსნილია.

მოისმინეს: დირექტორის კანდიდატის გელა გელაშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა თავისი სამოქმედო პროგრამა.

სხდომამ ღია კენჭისყრით ერთხმად მხარი დაუჭირა გ. გელაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ერთხმად თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატად 5 წლის ვადით შერჩეულ იქნა მთავარი მეცნიერ თანამშრომელი **გელა გელაშვილი.**
2. თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა **გელა გელაშვილი წარედგინოს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს.**

საბჭოს თავმჯდომარე: გ. ჯაფარიძე

საბჭოს მდივანი : მ. ჯანჯალია